

---

ჰაინრიხ ბიოლის ფონდში 2010 წლის  
6 ოქტომბერს გამართული საჯარო  
დისკუსია თემაზე:

„მიმდინარე საკონსტიტუციო რეფორმა  
საქართველოში“

---

ძირითადი მომხსენებლები:

**ვახტანგ ხმალაძე** – ექსპერტი,  
საზოგადოებრივი საკონსტიტუციო  
კომისიის წევრი

**ლია მუსაშავრია** – ექსპერტი,  
საზოგადოებრივი საკონსტიტუციო  
კომისიის წევრი

**ლევან ცუცქერიძე** – ჰოლანდიის  
მრავალპარტიული დემოკრატიის  
ინსტიტუტის საქართველოს  
წარმომადგენლობის ხელმძღვანელი

**ავთანდილ დემეტრაშვილი** –  
საქართველოს სახელმწიფო  
საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე

---

მოდერატორი: მინდია უგრეხელიძე

---

**მინდია უგრეხელიძე** – მოგესალმებით. მადლობას მოგახსენებთ მობრძანებისთვის. მოგესხენებათ, იურისტებისათვის კონსტიტუცია ჩვეულებრივი რამ არ არის, იგი განსაკუთრებული მნიშვნელობის იურიდიული დოკუმენტია. ასეთი ინტერესი მის მიმართ გვაფიქრებინებს, რომ კონსტიტუციური პროცესები ამიერიდან საქართველოში სულ უფრო ჯანსაღი მიმართულებით განვითარდება.

დღევანდელ დისკუსიაზე მიმდინარე საკონსტიტუციო რეფორმაზე ვისაუბრებთ. ჯერ მოვუსმენთ დისკუსიის ძირითად მომხსენებლებს, შემდეგ კი დისკუსიაში ჩერთვებიან ამ შესანიშნავი აუდიტორიის წარმომადგენლებიც. განსაკუთრებით მახარებს დარბაზში ახალგაზრდა თაობის ყოფნა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ჩვენ საქართველოს მომავალზე ვსაუბრობთ. კონსტიტუცია სწორედ მომავლის გარანტი და მსახური უნდა იყოს.

თავად, როგორც იურისტს, მაქვს მკაფიო პოზიცია იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელზეც დღეს ვისაუბრებთ, მაგრამ დღეს აბსოლუტურად ნეიტრალური უნდა ვიყო. ვინაიდან ბატონი ავთანდილი გახლავთ სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე და ყველაზე კარგად არის ჩახედული ამ საკითხებში, პირველს მას მოვუსმინოთ.

**ავთანდილ დემეტრაშვილი** – ყოფილი თავმჯდომარე, ბატონო მინდია. კომისიამ 1 ოქტომბერს შეწყვიტა მუშაობა.

**მინდია უგრეხელიძე** – ჩემი აზრით, კარგი იქნებოდა, თუ გამოვეყოფდით რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტს. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს პროცედურული ასპექტები, რომლებიც დღემდე ბადებენ საზოგადოებაში შეკითხვებს.

ისმება ასეთი კითხვა: თუ კონსტიტუცია უნდა შეცვლილიყო, მაშასადამე რაღაც სჭირდა მას, რაღაც ნაკლი ჰქონდა. თუ უნდა შეცვლილიყო, ეს იმას ნიშნავს, რომ უკეთესი უნდა გამხდარიყო. თუ შეიცვალა ე.ი. გაუმჯობესდა, და თუ გაუმჯობესდა, რატომ ვიცდით ამდენ ხანს და რატომ ველოდებით წლების გასვლას. რატომ არ შეიძლება ახლავე შევიდეს ძალაში გაუმჯობესებული კონსტიტუცია.

შეცვლილი კონსტიტუცია ყველასთვის მისაღები არ აღმოჩნდა. ამის შემდეგ შეიქმნა საგანგებო კომისია. თუ ამ კომისიამ მოიწონა ახალი ვარიანტი, რატომ უნდა გვქონდეს ძველი, დაწუნებული კიდევ ორი წლის განმავლობაში.

მეორე კითხვაა, პროცედურის დროს რამდენად იყო დაცული ის მოთხოვნები, რომლებიც საყოველთაო-სახალხო განხილვას მოეთხოვება.

შემდეგი კითხვა ეხება ამ კონსტიტუციის ზნეობრივ, პოლიტიკურ და საკუთრივ სამართლებრივ ასპექტებს. არის თუ არა ზნეობრივი, თუ პირიქით? ან რამდენად გამართლებულია პოლიტიკურად. რა საჭიროებამ, რა მიზანშეწონილებამ გამოიწვია. ცალკე საკითხია, რამდენად წიგნიერად, პროფესიული პასუხისმგებლობით არის მომზადებული, რამდენად არის დაცული სამართლებრივი ლოგიკა. აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ სტრასბურგი და არ დავინტერესდეთ, რამდენად პასუხობს ეს კონსტიტუცია იმ მოთხოვნებს, რომლებსაც უყენებს სტრასბურგის იურისპრუდენცია კანონებს. ჩვენ გვთხოვენ, რომ კანონები არა მარტო არსებითად უნდა იყოს სწორი, არამედ უნდა იყოს განჭვრეტადი, ნათელი, მკაფიო, ყველასათვის გასაგები.

კარგი იქნებოდა საუბარი იმაზეც, ეს ინსტიტუტი უფრო დემოკრატიული გახდა თუ პირიქით. ანდა ვთქვათ, რისკებს ზრდის თუ ამცირებს საფრთხეს. ასევე საინტერესოა, ეს კონსტიტუცია ხსნის პრობლემებს თუ პირიქით, წარმოშობს მათ. აღარ განვაგრძობ ჩამონათვალს, ახლა სიტყვას ბატონ ავთანდილ დემეტრაშვილს გადავცემ.

**ავთანდილ დემეტრაშვილი** – მოგესალმებით. კარგი იქნებოდა, მსგავს ფორმატში კონსტიტუციის პროექტზე, მის ახალ რედაქციაზე ერთად რომ გვემუშავა, მაშინ ამდენი შეკითხვა აღარ დაისმებოდა.

მე უკვე აღარ წარმოვადგენ სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას. მან დაასრულა მუშაობა. კონსტიტუციის პროექტის განხილვა ახლა უკვე პარლამენტში მიმდინარეობს. ამიტომ ალბათ უპრიანი იქნებოდა, ახლა ჩვენს გვერდით ყოფილიყო პარლამენტის რომელიმე წევრი, რომელიც კომპეტენტური იქნებოდა ბევრ იმ კითხვაზე გაეცა პასუხი, რომელიც აქ დაისვა.

აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ხელისუფლების გადაწყვეტილება საკონსტიტუციო კომისიის შექმნისა და კონსტიტუციური რეფორმის დაწყების შესახებ, ერთგვარი პასუხი იყო იმ შიდა გამოწვევებზე და საერთაშორისო იმპერატივებზე, რაც მაშინ ქვეყნის წინაშე არსებობდა. თუმცა მე ვფიქრობ და ალბათ ბევრი თქვენგანი დამეთანხმება, რომ ზრუნვა კონსტიტუციის ახალი რედაქციის შედგენაზე დაიწყო ჯერ კიდევ 2004 წლის 6 თებერვალს, როდესაც მიღებულ იქნა კონსტიტუციური კანონი და განხორციელდა ფართომასშტაბიანი კონსტიტუციური რეფორმა. მისი საჭიროება გაჩნდა მაშინ, როდესაც შეიცვალა საპრეზიდენტო მოდელი, რომელიც დაფუძნებული იყო კონსტიტუციის პირვანდელი რედაქციით.

დღევანდელი გადასახედიდან ვფიქრობ, რომ კონსტიტუციური რეფორმის დაწყება გამართლებული იყო და კმაყოფილი ვარ მისი შედეგითაც. მინდა ორიოდ სიტყვით მოგახსენოთ იმის შესახებ, თუ რა გააკეთა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიამ. ჩემი აზრით, კომისია წარმომადგენლობითი ხასიათის იყო, გარდა იმ კომპონენტისა, რომელსაც წარმოადგენენ არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიები, რომლებმაც უარი თქვეს ამ სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის საქმიანობაში მონაწილეობაზე. კომისიაში წარმოდგენილი რომ ყოფილიყო 14 პარტია, გარწმუნებთ, რომ შედეგი და ხარისხიც განსხვავებული იქნებოდა. უფრო ტრაგიკული შედეგიც შეიძლება მოყოლოდა ამას. საბოლოო პროექტი არ იქნებოდა მიღებული. ვინაიდან მის მიღებას სრული შემადგენლობის 2/3 სჭირდება.

ახლა ვისაუბრებ კონსტიტუციური რეფორმის ძირითად მიმართულებაზე, მის დოქტრინალურ საფუძველზე. ჩვენ იმთავითვე განვაცხადეთ, რომ გადაისინჯებოდა არა მთლიანად კონსტიტუცია, არამედ მისი ყველაზე მტკივნეული ნაწილი, ანუ ის ნაწილი, რომელიც სახელისუფლებო ურთიერთობებს, სტრუქტურებს ეხება. შესაბამისად კომისიის დებულებაში ჩაიწერა, რომ კონსტიტუციური კანონპროექტის მიზანი არის ხელი შეუწყოს სახელმწიფო განშტოებათა ეფექტიანი, გაწონასწორებული სისტემის შექმნას და ცივილური ურთიერთობის დამყარებას სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის. ეს იყო ჩვენი მიზანი (მე ვსაუბრობ კომისიის სახელით) და შევეცადეთ ის აგვესახა კონკრეტულ ნორმატიულ ნაწარმოებში. აქვე შეგახსენებთ, რომ

კომისიის შექმნიდან დაახლოებით ნახევარი წლის განმავლობაში ვერ გავარკვიეთ უმრავლესობის პოზიცია კომისიაში. უმრავლესობას არ ჰქონდა ჩამოყალიბებული პოზიცია არც სისტემურ ურთიერთობებზე და არც კონკრეტული ინსტიტუტების და პროცედურების თაობაზე. ამიტომ ყველა ჩვენი კონცეპტუალური და შემდეგ უკვე ნორმატიული სახით ჩამოყალიბებული წინადადება არ პოულობდა მხარდაჭერას უმრავლესობის მხრიდან. ინსტიტუტების მიმართ ჩვენი მიდგომა ასეთი იყო: მიგვაჩნდა, რომ პრეზიდენტი არ უნდა იყოს სიმბოლური ფიგურა. საპარლამენტო რესპუბლიკის პრეზიდენტის ინსტიტუტზე იმთავითვე ვთქვით უარი. მე ამ პოზიციას ვიზიარებდი 1993-94 წლებშიც. ამ ხედვისთვის არც ახლა მიღალატია. პრეზიდენტი ამ ახალი პროექტის მიხედვით პირდაპირი საყოველთაო წესით აირჩევა. იმავდროულად, იმ ხედვიდან, რომელიც გამაჩნია, პრეზიდენტი უნდა ჩამოცილებულიყო კონკრეტულ პოლიტიკურ საქმიანობას, რაც გამოიხატა იმაში, რომ 69-ე მუხლიდან, იქ, სადაც არის განსაზღვრული პრეზიდენტის კონსტიტუციური სტატუსი და ფუნქციები, ამოღებულია დებულება, რომლის მიხედვით პრეზიდენტი წარმართავს და ახორციელებს საგარეო და საშინაო პოლიტიკას. მოხდა მისი დისტანცირება ადამასრულებელი ხელისუფლებისაგან. ეს არ ყოფილა ერთსულოვანი გადაწყვეტილება. უმრავლესობის გადაწყვეტილებით იგი დარჩა უმაღლეს წარმომადგენლად საგარეო ურთიერთობებში, იგი ასევე დარჩა ქვეყნის სამხედრო ძალების მთავარსარდლად და ყურადღება გამახვილდა მის საარბიტრო ფუნქციაზე. თავისი უფლებამოსილების ფარგლებში იგი უზრუნველყოფს სახელმწიფო ორგანოთა ფუნქციონირებას.

მთავრობის, როგორც ინსტიტუტის სტატუსი განისაზღვრა როგორც ადამასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო. მისი პირველი პირი განისაზღვრება როგორც მთავრობის მეთაური. ეს არ არის შემთხვევითი. ისმებოდა კიდევ კითხვა, რატომ მეთაური და არა თავმჯდომარე. ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ ბიცეფალური სისტემა, ორმეთაურიანი სისტემა უნდა შეიცვალოს და ქვეყანას უნდა ჰყავდეს მხოლოდ ერთი მეთაური – პრემიერ-მინისტრი. პრეზიდენტი მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში, კონფლიქტურ სიტუაციებში უნდა ჩაერიოს პარლამენტსა და მთავრობას შორის ურთიერთობების უზრუნველსაყოფად.

ვერ დავეთანხმები მოსაზრებას, რომ პარლამენტის როლი შემცირდა. თუ ვინმე შეეცდება დამიმტკიცოს, რომ პარლამენტის რომელიმე უფლებამოსილება ან ფუნქცია, რომელიც მას ახლა გააჩნია, ამოღებულია ან შემცირებულია ამ პროექტით, მზად ვიქნები მისი არგუმენტების მოსასმენად. ჩამოგითვლით იმ უფლებამოსილებებს, რომლებიც, ჩემი აზრით, არათუ არ ამცირებს, არამედ ზრდის მის როლს: საკანონმდებლო სფერო არის პარლამენტის ძირითადი ფუნქცია. ვნახოთ, გაიზარდა თუ შემცირდა მისი ეს უფლებამოსილება. პარლამენტი ხდება უფრო სუვერენული თავისი დღის წესრიგის განსაზღვრისას. ვინაიდან პრეზიდენტს აღარა აქვს საკანონმდებლო ინიციატივის განხორციელების შესაძლებლობა. ამის შედეგად, შეუძლებელია მის მიერ დღის წესრიგის მონოპოლიზაცია. პრეზიდენტს აღარა აქვს კონსტიტუციური კანონპროექტის ინიცირების უფლება. ესეც მეტყველებს პარლამენტის საკანონმდებლო ფუნქციის გაზრდაზე. პრეზიდენტს გააჩნია საკანონმდებლო ვეტო, მაგრამ მისი გადალახვისათვის პარლამენტს სჭირდებოდა 3/5

უმრავლესობა. ეს უმრავლესობა შემცირდა და ესეც ზრდის პარლამენტის სუვერენულ საკანონმდებლო ფუნქციას.

კონტროლის სფეროში, რომელიც არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სფერო, მას დარჩა ყველა ის უფლებამოსილება, რომელიც აქამდე ჰქონდა, შენარჩუნებული აქვს უნდობლობის გამოცხადების ვოტუმიც. თუმცა ვაღიარებ, რომ ის კონსტრუქცია, რომელიც არის გამოყენებული 81-ე მუხლით, საჭიროებს სრულყოფას. ამის თაობაზე საკმაოდ მწვავე დისკუსია გაიმართა ბერლინის კონფერენციაზე. თუ გავიხსენებთ, რა სახით ჩავიდა ეს მუხლი ბერლინში, და ვნახავთ, რა სახით არის ჩამოყალიბებული დღეს, დამეთანხმებით, რომ გარკვეული პროგრესი ამაში არის. თუმცა წინასწარ ვეთანხმები იმას, რომ 81-ე მუხლის ვადები და პროცედურები საჭიროებს შემდგომ სრულყოფას.

არაფერი არ შეცვლილა საგარეო პოლიტიკურ სფეროში, ასევე თანამდებობის პირთა დანიშვნის სფეროში. და რაც მთავარია, პარლამენტის როლი იზრდება მთავრობის ფორმირებაში. პარლამენტი ხდება მთავრობის ფორმირების ერთადერთი წყარო. თუ აქამდე მთავრობის ფორმირების ძირითადი წყარო იყო პრეზიდენტი და მას ნებისმიერ დროს შეეძლო მთავრობის დათხოვნა, ახალი პროექტის მიხედვით, ფორმირების ერთადერთი წყარო პარლამენტი ხდება. ეს მოდელი ორიენტირებულია ამომრჩეველზე, ადამიანებზე. იმიტომ რომ ამომრჩეველი ირჩევს უმრავლესობას, რომელიც ქმნის მთავრობას. ის თავის მხრივ ანგარიშგააღებელია ხალხის მიერ არჩეული უმრავლესობის წინაშე.

მოკლედ ვიტყვი სასამართლო ხელისუფლების თაობაზე. დარწმუნებული ვარ, რომ სასამართლო ხელისუფლების პრობლემები არა მისი ინსტიტუციური ნაკლოვანებების გამო მომდინარეობს, არამედ სხვა მიზეზები უნდა ვეძებოთ. ეს შეიძლება იყოს საკადრო რესურსი, პოლიტიკური ნება. თუმცა გარკვეული ცვლილებები, არა კარდინალური, პროექტში მაინც არის შეტანილი. ეს არის ასაკობრივი ცენზის აწვევა ოცდაათ წლამდე, მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნა. შეიძლება სადაოდ მიგვაჩნდეს სამწლიანი გამოსაცდელი ვადის დადგენა. ვენეციის კომისია ამ მხრივ ძალიან კატეგორიულია თავის დასკვნაში. სხვათა შორის, ამ გამოსაცდელმა ვადამ გერმანელი ექსპერტების მოწონებაც დაიმსახურა.

კიდევ ერთი სიახლე – კონსტიტუციის გადასინჯვის ახალი წესი, ოდნავ უფრო ხისტი, არსებულისგან განსხვავებით. კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტი მიღებულად ჩაითვლება, თუ იგი მიღებული იქნება ორ თანმიმდევრულ სესიაზე სამთვიანი ინტერვალით. ჩემი ინტერვალის ამოწურა. დიდი მადლობა ყურადღებისთვის.

**მინდია უგრეხელიძე** – დიდი მადლობა ბატონო ავთანდილ. დარწმუნებული ვარ, ბატონ ავთანდილთან გაბაასება შემდგომ შეკითხვების რეჟიმში გაგრძელდება.

ახლა ბატონ ვახტანგს მოვუსმინოთ.

**ვახტანგ ხმალაძე** – ძალიან ბევრია სასაუბრო. პირველი რაც მინდა ვთქვა, კონსტიტუციის გადახედვის პროცესს, თავად სახელმწიფო საკონსტიტუციო

კომისიის შექმნის საკითხს ეხება. ყველას, ვინც დაინტერესდებით ამ საკითხებით, გირჩევთ გადახედოთ სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის შემადგენლობას, რაოდენობას. დაუმატოთ მას იმ თოთხმეტი პარტიის თითო წარმომადგენელი, ვინც უარი თქვა კომისიის წევრობაზე, და საერთო რიცხვი გამოიყვანოთ. 2/3 იანგარიშოს არსებულ შემთხვევაში რამდენია, თოთხმეტის დამატების შემდეგ რამდენი იქნება და კომისიის შემადგენლობიდან გამომდინარე გააკეთოთ დასკვნა, შეძლებდნენ თუ არა ისინი არსებითი ცვლილების შეტანას კომისიის გადაწყვეტილებაში. ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც მე უარი განვაცხადე ამ კომისიაში მუშაობაზე, ესეც გახლდათ. რადგან მქონდა მწარე გამოცდილება 1993-95 წლების სახელმწიფო კომისიაში მუშაობისა, როდესაც გახლდით სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე. და როდესაც ამ კომისიის ბოლო სხდომებზე მიმდინარეობდა ტექსტის მიღება, ისიც კი გაცხადდა, რომ თურმე არ არსებობდა პროექტი, რომელიც საზოგადოებაში ცნობილია „ჩიკაგოს პროექტის“ სახელმწოდებით.

მეორე საკითხია ის, რომ თვითონ განხილვის პროცესი, საყოველთაო სახალხო განხილვა მაქვს მხედველობაში, დაიწყო ივლისის ბოლოს, მას შემდეგ, რაც სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიამ საბოლოო ტექსტი მიიღო და პრეზიდენტს გადასცა და შევიდა პარლამენტში. და გაგრძელდა მანამ, ვიდრე განმხილველმა კომისიამ პარლამენტს არ წარუდგინა თავისი წინადადებები და პარლამენტში არ დაიწყო განხილვები. თითქმის ორი თვე გაგრძელდა ეს პროცესი. აქედან ერთი თვე არის ყველაზე ცხელი კლიმატურად და ყველაზე გრილი პოლიტიკურად. იმ განხილვებსაც უფრო ფორმალური ხასიათი ჰქონდა. იმართებოდა რეგიონებში, მუნიციპალურ ცენტრებში, ყოველგვარი ოპონირების გარეშე. ამას ძნელია ეწოდოს საყოველთაო სახალხო განხილვა. პარალელისთვის, ზოგიერთს შეიძლება ახსოვდეს 1990 წელს საარჩევნო კანონის, პარლამენტის არჩევის კანონის თაობაზე მიმდინარე დებატები საქართველოში.

ახლა თავად კონსტიტუციის პროექტთან დაკავშირებით მოგახსენებთ. სავესებით ვეთანხმები იმას, რომ 2004 წელს მიღებული ცვლილებები აუცილებლად უნდა შეცვლილიყო. ასეთი ცვლილებები არც უნდა შესულიყო. ოღონდ შეფასებაში ცოტა უფრო მკაცრი ვიქნები. 2004 წელს მიღებული ცვლილებების შედეგად ჩვენ მივიღეთ ხელისუფლების ისეთი მოდელი, როდესაც მთელი ძალაუფლება როგორც ფორმალური, ისე იურიდიულ-სამართლებრივი, აღმოჩნდა ერთი კონსტიტუციური ინსტიტუტის, პრეზიდენტის ინსტიტუტის ხელში. ამაზე მეტყველებს დღეს მოქმედი კონსტიტუციის არაერთი ნორმა. ანალიზი ამის შესახებ გაკეთებულია, დაბეჭდილია და გამოცემულია. სხვათა შორის ერთ-ერთი ასეთი ანალიზის თანაავტორები გახლავართ მე და ბატონი ავთანდილი. აქ იმყოფება ბატონი ზურაბ ჯიბლაშვილიც. იმ ანალიზის ავტორებს შორის არიან ლევან რამიშვილი, დავით უსუფაშვილი. ძალიან დიდი ჯგუფი იყო და მკვეთრად აფასებდა იმ მოდელს, ამბობდა, რომ ეს არის ის, რასაც თეორიაში ზოგჯერ უწოდებენ „დეფორმირებულ საპრეზიდენტო ხელისუფლების მოდელს“, ზოგჯერ „სუპერსაპრეზიდენტო რესპუბლიკის მოდელს“. ის აუცილებლად იყო შესაცვლელი, იმიტომ რომ დარღვეულია ხელისუფლების განაწილების პრინციპი, არ არსებობს კონტროლისა და გაწონასწორების მექანიზმები, არ არის შეკავების ბერკეტები და ერთ პირს შეუძლია მთლიანად

დაიქვემდებაროს მთავრობა და პარლამენტი. მთავრობის დაქვემდებარების მაგალითისთვის ძალიან მარტივად შეიძლება ერთი ნორმის მოყვანა: პრეზიდენტი უფლებამოსილია გადააყენოს პრემიერ-მინისტრი, ასევე მთელი მთავრობა. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, ეს ერთი ნორმაც საკმარისია იმისათვის, რომ ვთქვათ, მთავრობა არის პრეზიდენტის აპარატი, მისი აღმასრულებელი ორგანო.

რაც შეეხება პარლამენტს, თუ გავითვალისწინებთ პრეზიდენტისა და პარლამენტის ურთიერთობის არსებულ ნორმებს, რა შემთხვევებში შეუძლია პრეზიდენტს პარლამენტის დათხოვნა, როგორ შეიძლება იქნეს პროვოცირებული იმ ვითარების შექმნა, რომელიც პრეზიდენტს მისცემს პარლამენტის დათხოვნის უფლებას, აქ პარლამენტს რჩება შემდეგი გამოსავალი – ან იყოს მორჩილი, კონფორმისტი, ან იყოს პრინციპული, მაგრამ გაწიროს თავი იმისათვის, რომ მას დაითხოვენ.

პარლამენტისა და მთავრობის ურთიერთობისას საპარლამენტო კონტროლი არის უადრესად დაბალი. ამის უმთავრესი მიზეზი გახლავთ არა მხოლოდ ის, რომ პარლამენტის როლი მთავრობის ფორმირებისას წმინდად სიმბოლური, არამედ პარლამენტის მიერ მთავრობის დათხოვნის შეუძლებლობაში. დღესაც შეუძლია პარლამენტს უნდობლობა გამოუცხადოს მთავრობას, მაგრამ ამისათვის მას დასჭირდება 3/5-იანი უმრავლესობა. ე.წ. უპირობო უნდობლობის გამოცხადების რეჟიმი. შესაბამისად, ეს სისტემა არის გაუწონასწორებელი და დიდი რისკების შემცველი. იმ რისკებისა, რომ ერთი პირის ხელში კონცენტრირებული ძალაუფლება ვერ წონასწორდება, ვერ კონტროლდება და თუ ის მოიქცა ისე, როგორც არ უნდა მოქცეულიყო, მისი შემკავებელი მექანიზმი არ არსებობს. ამიტომ ის უნდა შეცვლილიყო.

ახლა ვნახოთ, რა მივიღეთ. მიინდა გითხრათ, რომ პარლამენტის მიერ მთავრობის, აღმასრულებელი ხელისუფლების, გაკონტროლების განხორციელების ის ერთ-ერთი უმთავრესი ელემენტი კვლავ უადრესად სუსტია. აქ იყო საუბარი პარლამენტის უფლებამოსილების გაზრდის შესახებ და საამისოდ ბატონი ავთანდილის მიერ არგუმენტად იყო მოყვანილი ის, რომ პარლამენტია პასუხისმგებელი მთავრობის შექმნაზე. ეს მართლაც ასეა და მიმანია, რომ სწორია. ითქვა ისიც, რომ პრეზიდენტის ვეტოს დაძლევის სურვილი შემცირდა და ესეც კარგია. მაგრამ მთავრობის გაკონტროლების ერთ-ერთი სერიოზული მექანიზმი მკვეთრად შესუსტდა. ეს არის დროებითი საგამოძიებო და სხვა დროებითი კომისიების შექმნის მექანიზმი. თუ დღევანდელი კონსტიტუციით დროებითი კომისია, მათ შორის დროებითი საგამოძიებო კომისია იქმნება კონსტიტუციით და კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, პარლამენტის გადაწყვეტილებით, აგრეთვე პარლამენტის წევრთა 1/4-ის მოთხოვნით. და ამ კომისიებში საპარლამენტო წევრთა რაოდენობა ნახევარს არ უნდა აღემატებოდეს. ანუ, კომისიებში ასეთი ბალანსი უკვე აღარ არის. როგორც წესი, საგამოძიებო კომისიებს იყენებს ხოლმე საპარლამენტო ოპოზიცია, კონკრეტული საკითხის გამოსაძიებლად იქმნება კომისია, სადაც უმრავლესობა არა აქვს უმრავლესობას. და ეს არის აღმასრულებელ ხელისუფლებაზე კონტროლის განხორციელების ქმედითი მექანიზმი. წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, კომისიის შექმნის ინიცირება შემცირდა 1/5-მდე, სამაგიეროდ კომისიის შექმნა უკვე დამოკიდებულია პარლამენტის გადაწყვეტილებაზე.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გახლავთ ის, რომ პარლამენტის მიერ მთავრობის პოლიტიკური კონტროლის მექანიზმი, რაც გამოიხატება პარლამენტის მიერ მთავრობისთვის უნდობლობის გამოხატვის შესაძლებლობაში, დარჩა ფაქტობრივად იმავე დონეზე, როგორც არის მოქმედ კონსტიტუციაში. ანუ მთავრობის შესაცვლელად საჭიროა 3/5-იანი უმრავლესობა, 60%-იანი უმრავლესობა, თუ პრეზიდენტს არ სურს მთავრობის გადაყენება. ჩვეულებრივი უმრავლესობა საკმარისი აღმოჩნდება მაშინ, თუ პრეზიდენტსაც სურს მთავრობის გადაყენება. აი აქ ჩნდება სერიოზული პრობლემა, რომელიც ზრდის რისკების ხარისხს. თუ დღეს რისკი მდგომარეობს იმაში, რომ პრეზიდენტს შეუძლია საერთოდ უგულებელყოს ყველანაირი განსხვავებული მოსაზრება ოპოზიციისა, ამ პროექტის მიღების შემდეგ უკვე ჩნდება რისკი, რომ დაპირისპირება აღმოჩნდეს მმართველ გუნდში და ამან გამოიწვიოს პოლიტიკური რისკები. იმიტომ, რომ თუ მთავრობას პარლამენტმა უმრავლესობით გამოუცხადა უნდობლობა, მაგრამ მთავრობის მხარეზე აღმოჩნდა პრეზიდენტი, მაშინ ეს უმრავლესობა დარჩება მთავრობის მოწინააღმდეგე, და თუ მისმა რაოდენობამ არ მიაღწია 60%-ს, მთავრობას ვერაფერს დააკლებს. თუ უნდობლობის პროცესი ბოლომდე ვერ მიიყვანა პარლამენტმა, მაშინ პრეზიდენტს უჩნდება პარლამენტის დათხოვნის უფლება. ასე რომ ეს ბრძოლა შეიძლება უფრო მეტად გამწვავდეს, უფრო მეტად იყოს დაპირისპირებული და პარლამენტი კვლავ აღმოჩნდეს უუფლებო. გმადლობთ.

**მინდია უგრეხელიძე** – დიდი მადლობა ბატონო ვახტანგ. აქ ვიტყვი იმას, რაც ალბათ თავში უნდა მეთქვა. დიდი მადლობა მსურს გადაუხადო ჰაინრიჰ ბიოლის ფონდს.

ახლა დადგა დრო, ქალბატონ ლია მუხაშავრიას მოვუსმინოთ.

**ლია მუხაშავრია** – მე შევუერთდები ბატონ მინდიას სიტყვებს და მადლობას გადაუხადი მასპინძლებს და სტუმრებს, რომლებიც დღეს აქ მობრძანდით. მაგრამ ვიტყვოდი, რომ ცოტა დაგვიანებულია ჩვენი დებატები და ვისურვებდი, რომ ოპონენტიც ყოფილიყო ის, ვინც უნდა ყოფილიყო ოპონენტი. მართალია ბატონი ავთანდილი, როდესაც ამბობს, რომ ის არის უკვე ლიკვიდირებული სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარე.

**მინდია უგრეხელიძე** – უნდა გითხრათ, რომ ჰაინრიჰ ბიოლის ფონდმა ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ პარლამენტის წარმომადგენლობა ყოფილიყო აქ. მე როგორც ვიცი, საუბარი შედგა თავად იურიდიული კომიტეტის ხელმძღვანელობასთან. სამწუხაროდ, აღმოჩნდა, რომ მათ არ ჰქონდათ საამისო შესაძლებლობა. იყო დაპირება, რომ იქნებოდნენ ნაციონალური მოძრაობის და ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები.

**ლია მუხაშავრია** – ამიტომ მგონია, რომ ცოტა არ იყოს, ცალ კარში ვთამაშობთ. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც თქვენ მოუსმინეთ ბატონ ვახტანგს, რომელმაც დეტალურად ახსნა, თუ რატომ არის დამატებითი რისკები ახალ კონსტიტუციაში. იმის ნაცვლად, რომ გვქონოდა კონსტიტუციური ცვლილება, რომელიც როგორმე დაარეგულირებდა იმ პოლიტიკური კრიზისისა



და საფრთხეების საკითხს, რომელიც ასეთი თვალსაჩინოა ჩვენს ცხოვრებაში, რისი უშუალო მაგალითიც არის ჩემი აზრით 2008 წლის ომი, 2009 წლის ოთხთვიანი საპროტესტო აქციები და ის შედეგები, რომლებიც მას მოყვა. ბატონმა ვახტანგმა ვერ დაასრულა თავისი გამოსვლა, მაგრამ მისი დასკვნა ალბათ არის ცალსახა და ჩვენი აზრი ამ საკითხში ერთნაირია. იქმნება დამატებითი რისკებისა და საფრთხეების ისეთი შესაძლებლობა, რომელიც არ გამოირიცხავს სამოქალაქო ომს და სამოქალაქო დაპირისპირებას იმის გამო, რომ აღამასრულებელი ხელისუფლება ზედმეტი ცენტრალიზაციის შემდეგ ორად იხლინება პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს შორის.

იმ პირობებში, როდესაც კონსტიტუციურად მკაფიოდ არ არის გამოიჭნული, სად მთავრდება პრეზიდენტის უფლებამოსილება და სად იწყება პრემიერ-მინისტრის და პირიქით, თუ ისინი ერთმანეთს დაუპირისპირდებიან, ვინ სად უნდა დარჩეს, და სად არის სადემარკაციო ხაზი, რომელსაც არ უნდა გადააბიჯონ. თავს ნებას მივცემ შეგახსენოთ, რომ კონსტიტუციები სწორედ იმიტომ იწერება, რომ ხელისუფლების მაღალ ემულონებში მყოფი პირები შებოჭოს თვითნებობისა და აიძულოს კონსტიტუციური ნორმების დარღვევისაგან თავისშეკავება. ამიტომ ის მოსაზრება, რომ მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკურმა პარტიებმა არ მიიღეს მონაწილეობა ამ პროექტის შემუშავების პროცესში, ვერ მოახდენს გავლენას იმ ძირითად ფუნდამენტურ არსზე, რომ კონსტიტუცია იწერება ხალხისათვის, ქვეყნისათვის, სახელმწიფოსთვის და ის არ არის იმ დროებითი მოთხოვნების საპასუხო რეაქციის შედეგი, არამედ გათვლილია გაცილებით უფრო გრძელვადიან პერსპექტივაზე და უფრო სერიოზული კრიზისების დაძლევისა და დარეგულირებისაკენ, რომელიც შესაძლოა თეორიულად არსებობს ან პრაქტიკულად უკვე გამოიარა ქვეყანამ.

ასეთ ვითარებაში, როდესაც ხელისუფლებასაც მოუხდა იმის აღიარება, რომ სწორედ კონსტიტუციაა ძირითადი წყარო იმ პოლიტიკური კრიზისისა, რომელიც ქვეყანაში ასე ხშირად იქმნება, და მას ნამდვილად სჭირდება ცვლილებები, მივიღეთ ის, რომ ხელისუფლება საკონსტიტუციო ცვლილებებით ამ პრობლემების გადაჭრას კი არ ცდილობს, არამედ ცდილობს პირდაპირ მოირგოს კონსტიტუცია საკუთარ პოლიტიკურ უშუალო, უახლოეს მიზნებსა და დღის წესრიგზე. ანუ, საუბრები იმის შესახებ, რომ მოქალაქე მიხეილ სააკაშვილი ცდილობს პრემიერ-მინისტრის პოზიციის განმტკიცებას და ამისთვის სჭირდება კონსტიტუცია, სრულიად რეალურად მეჩვენება. ეს მოსაზრება მინდა ზნეობრივ ასპექტშიც განვიხილო. იმიტომ რომ ჩვენი პოლიტიკური ცხოვრება ბოლო ორი ათწლეული სწორედ იმას მიანიშნებს, რომ ხელისუფლების სათავეში, განსაკუთრებით პრეზიდენტის ძალიან მნიშვნელოვანი მანდატით აღჭურვილი პირდაპირი არჩევის წესით მოსული პოლიტიკური მოღვაწეები ყველაზე ნაკლებად იქცევიან სახელმწიფო მოღვაწეებად. მათი სტატუსიდან და კონსტიტუციური უფლებამოსილებიდან გამომდინარე, ძალიან ხშირად არიან იმ პოლიტიკური ჯგუფის ლიდერები და რჩებიან კიდევ იმ პოლიტიკური ჯგუფის ლიდერებად, რომელთა წყალობითაც ისინი არჩევნებში პოზიციას იკავებენ. ვერ მივაღწიეთ იმას, რომ პრეზიდენტი ამ პოსტზე მოსვლის შემდეგ იყოს სახელმწიფოს პირველი პირი და ზრუნავდეს სახელმწიფოზე და არ იყოს იმ პოლიტიკური ძალის ინტერესების

გამომხატველი, რომელმაც ის ხელისუფლებაში მოიყვანა. ვფიქრობ, მიღებული ცვლილებების შემდეგ ეს საკითხი კვლავ პრობლემად დარჩება. ჩემი აზრით, მხოლოდ პარტიის ლიდერის პოზიციიდან პრეზიდენტის დისტანცირება საკმარისი არ არის. ძალიან მნიშვნელოვანია ითქვას, რომ ხელისუფლება რომ ყოველთვის ცდილობს საკუთარი არსებობის ლეგიტიმაცია მოახდინოს კონსტიტუციური გზით, ეს ჩვენ კარგად გავიგეთ 2004 წელს. იგივე ხელისუფლება არ ეცდება, რომ რადიკალურად ხარისხობრივად განსხვავებული კონსტიტუცია დაწეროს დღეს. განსაკუთრებით, თუკი მას ეს ვარაუდი და საშიშროება აქვს გაცნობიერებული, ის შეეცდება საზოგადოება კიდევ უფრო მეტად დაერწმუნოს იმაში, რომ კონსტიტუციას ნამდვილად იმისათვის წერს, რათა კონსტიტუციური პრობლემები მოაგვაროს, ქვეყნის მოწყობის ძირითადი წესი იმგვარად დააარეგულიროს, რომ კრიზისული სიტუაციები მინიმუმამდე დაიყვანოს. თუ ასეთი ნება და სურვილი არსებობდა, კონსტიტუციური ცვლილებების პროექტი სხვა პირობებში შემუშავდებოდა და პოლიტიკური პარტიებისთვისაც პროექტზე მუშაობის პროცესში მონაწილეობის შეთავაზება გაცილებით უფრო ფართო ხასიათს მიიღებდა და ხელმისაწვდომი იქნებოდა საზოგადოების ნებისმიერი ფენისათვის. ამ დარბაზში ვხედავ სწორედ იმ საზოგადოებას, რომელიც თავისუფლად შეიძლებოდა ყოფილიყო ამ პროცესის აქტიური მონაწილე. მაშინ აღარც დისკუსიები იქნებოდა საჭირო, იმიტომ რომ ყველასთვის ცხადი იქნებოდა, თუ რა პოზიციაზე შევჯერდით მთელი ქვეყანა.

საერთოდ, ვფიქრობ ამ ქვეყანაში სახელმწიფო სტაბილურობას პირველ რიგში უზრუნველყოფს ის, რომ კონსტიტუცია არის მთელი საზოგადოების შეთანხმების შედეგი და არა რომელიმე პოლიტიკური ძალის დროებითი შესაძლებლობა თავის თავზე მოირგოს კონსტიტუცია. ჩემი აზრით, საინტერესო იქნებოდა დისკუსიის ამ მიმართულებით გაშლა. სხვაგვარად ვერ შევდგებით როგორც სახელმწიფო და როგორც საზოგადოება. ამიტომ ძალიან მიხარია, რომ ახალგაზრდები ასე სერიოზულად არიან ამ საკითხებით დაინტერესებულნი. ვფიქრობ, დღევანდელი დღეც შეიტანს წვლილს იმაში, რომ ხვალ თუ არა, ზეგ მაინც შეიქმნას ის პროდუქტი, რომელსაც ქვეყნის კონსტიტუცია ჰქვია და მას პატივს სცემს, იცავს და აფასებს ქვეყნის ყველა მოქალაქე. და არავის არ შეეპარება ეჭვი იმაში, რომ ის არის ვიდაცის პოლიტიკური ნების, ვითარების სარგებლობის პროდუქტი. გმადლობთ.

**მინდია უგრეხელიძე** – გმადლობთ, ქალბატონო ღია. ახლა სიტყვას ბატონ ლევან ცუცქირიძეს გადავცემ.

**ლევან ცუცქირიძე** – გმადლობთ. მოხარული ვარ, რომ თქვენთან ერთად მიწევს ამ თემაზე საუბარი. მე არ გახლავართ იურისტი, უბრალოდ ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე, მიწევს მუშაობა საკონსტიტუციო რეფორმის მხარდასაჭერად. მე ცოტა უფრო სოციალურ-პოლიტიკურ ჭრილში შევხედავ ამ პროცესს და ჩემს დაკვირვებებს, რომლებიც არ გამოხატავს ჩვენი ორგანიზაციის ოფიციალურ პოზიციას, გაგიზიარებთ.

სამი მიმართულებით შევეცადეთ მხარი დაგვეჭირა საკონსტიტუციო რეფორმისთვის. გავაკეთეთ საერთო ეროვნულ-საზოგადოებრივი აზრის კვლევა, საიდანაც რამდენიმე საინტერესო დაკვირვებას მოგაწვდით. სახელმწიფო

საკონსტიტუციო კომისიასა და „სამართლიან არჩევნებთან“ ერთად ჩავატარეთ შეხვედრები რეგიონებში, მანამ ვიდრე ეს პროექტი შევიდოდა პარლამენტში. ამ პარასკევს უკვე წარვადგენთ ჩვენს კიდევ ერთ ანალიზსა და კვლევას იმ ოპოზიციური პარტიების მოსაზრებების შესახებ, რომლებიც არ თანამშრომლობდნენ სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიასთან. შევეცადეთ მთლიანად მოგვეცვა როგორც პოლიტიკური სპექტრი, რომელიც იყო კომისიაში ან არ იყო, ასევე გაგვეგო ხალხის აზრი კონსტიტუციაზე.

დავიწყეთ იმ პირველადი დაკვირვებებით, რაც საზოგადოებრივი აზრის კვლევისას დავადგინეთ. ყველაზე მეტად რაც თვალში მოხვდება ადამიანს, არის ის, რომ ძალიან მცირე რაოდენობა გამოკითხული მოსახლეობისა (მიგვაჩნია, რომ ეს არის წარმომადგენლობით კვლევა) მიიჩნევს, რომ კონსტიტუციას იცნობს. მხოლოდ 1%-მა გვითხრა, რომ იცნობს კონსტიტუციას. სულ 27 შეკითხვა გექონდა ქვეყნის მოწყობაზე, პოლიტიკურ სისტემაზე, საკონსტიტუციო რეფორმაზე, და თითქმის ყველა შეკითხვაზე 40%-ზე მაღალი იყო პასუხი „არ ვიცი“. პოლიტიკური განათლება რეგიონებში და ზოგადად ქვეყნის მასშტაბით კატასტროფულ მდგომარეობაშია. ჩვენი მონაცემების ხილვა შეგიძლიათ ჩვენი ორგანიზაციის ვებგვერდზე. კონკრეტულ უფლებებზეც ძალიან მწირია ინფორმაცია საზოგადოებაში, განსაკუთრებით რეგიონებში.

ზოგადად შეიძლება განვასხვავოთ დამოკიდებულება საზოგადოებისა პრობლემათა ჯგუფების მიმართ. როდესაც ხალხს ვეკითხებით იმაზე, რაც არ ეხება მათ ყოველდღიურ ცხოვრებას, მაგალითად, პროპორციული საარჩევნო სისტემა ჯობია თუ მაჟორიტარული, ბევრი გვპასუხობს, რომ ეს საკითხი არ იცის ან არ აინტერესებს. მაგრამ როდესაც ვეკითხებით, რა კომპეტენციები უნდა გააჩნდეს ადგილობრივ თვითმმართველობას, აქ უკვე ძალიან მაღალია იმ კონკრეტული საკითხების ნუსხა, რომელთა ჩამონათვალსაც ვეთავაზობენ. მოსახლეობას პრაქტიკული საკითხები აინტერესებს, მაგრამ იმ საკითხებზე, რომლებიც ხშირად გვხვდება ყურში ტელევიზიიდან, არა აქვთ კონკრეტული მოსაზრება.

ასევე განსხვავებულია საზოგადოების დამოკიდებულება იმის შესახებ, თუ რა როლი უნდა ითამაშოს მთავრობამ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. შეიძლება ოდნავ გავცდე უშუალოდ კონსტიტუციის სფეროს, მაგრამ ჩემი აზრით, ეს ყველაფერი ეხმიანება მას. გამოკითხულთა დაახლოებით 40% მიიჩნევს, რომ მთავრობა მას უნდა ექცეოდეს როგორც მშობელი შვილს. 43% ფიქრობს, რომ მთავრობა პყავს დაქირავებული. მათ შორის არის ძალიან დიდი რაოდენობა მოსახლეობისა, რომელსაც ამ საკითხზე თავისი მოსაზრება არ გააჩნია. ჩემი აზრით, ეს არის ძალიან კრიტიკული მასა. საითაც ეს 20% წავა, იქით წავა ჩვენი ქვეყანაც. ამიტომ ვფიქრობ, პოლიტიკურ და სამოქალაქო განათლებას, განათლებას კონსტიტუციის თაობაზე, ძალიან დიდი როლის თამაში შეუძლია ქვეყნის სამომავლო განვითარებისთვის. ასევე განსხვავებულია დედაქალაქში მცხოვრებთა მოთხოვნები. ისინი უფრო მნიშვნელოვან ცვლილებებს ითხოვენ. თბილისში მოსახლეობა ითხოვდა სრულიად ახალ კონსტიტუციას, როდესაც რეგიონებში საუბარი იყო ცვლილებებზე. განათლების ცენზის მიხედვითაც იყო ასეთი გადანაწილება და ხელისუფლების მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორისაც. მომხრეები უფრო ძლიერ საპრეზიდენტო მმართველობას მოითხოვდნენ, ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად

განწყობილნი საპარლამენტო მოდელზე საუბრობდნენ. ძალიან მკვეთრი დამოკიდებულება აქვს მოსახლეობას იმის მიმართ, რამდენად ხშირად უნდა იცვლებოდეს კონსტიტუცია. გამოკითხულთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ის იშვიათად უნდა იცვლებოდეს.

ახლა ვისაუბრებ ჩვენს შეხვედრებზე რეგიონებში, რომლებიც საკონსტიტუციო კომისიასთან ერთად ჩავატარეთ. უპირველეს ყოვლისა, მინდა აღვნიშნო რომ მათ შესახებ ინფორმაცია ჰქონდა თითქმის ყველა ოპოზიციურ პარტიას, ამიტომ ვერ გავიზიარებ იმ აზრს, რომ ფორმალური ხასიათის შეხვედრები იყო. ძირითადი აქცენტი რეგიონებზე იმიტომ გავაკეთეთ, რომ პოლიტიკური დისკურსი თბილისში უფრო აქტიურია. აქ ინფორმაცია უფრო ხელმისაწვდომია მოსახლეობისათვის. შეხვედრების დროს ასევე გამოიკვეთა რამდენიმე ძირითადი საკითხი. ეს არის ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხები, ერთ-ერთია საკონსტიტუციო რეფორმის მიმდინარეობა. როდესაც ვიკითხეთ, რას მოელოდნენ საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად, ბევრმა გვიპასუხა, რომ ადამიანის უფლებები უნდა განმტკიცდეს. ბევრმა გვიპასუხა, რომ გაუმჯობესდება ტერიტორიული მოწყობა და თვითმმართველობა. ბევრი ელის ქვეყნის უსაფრთხოების განმტკიცებას. საზოგადოების აზრით, ამ რეფორმამ ხელი უნდა შეუწყოს იმას, რომ უფრო სტაბილური და განჭვრეტადი გახდეს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება და ამან ხელი უნდა შეუწყოს ქვეყნის უსაფრთხოების გაუმჯობესებას.

თავს არ შეგაწყენთ, ჩვენს მიერ მომზადებულ მხოლოდ რამდენიმე დასკვნას გავიზიარებთ. პირველი: საზოგადოება არ ყოფილა სათანადოდ ჩართული ამ დებატებში. მაგრამ კარგად უნდა განვმარტოთ, რას ნიშნავს საზოგადოების ჩართულობა ამ დებატებში. თუ მხოლოდ დაინტერესებულ პირებს ვგულისხმობთ, მათაც უფრო მეტი აქტიურობა შეეძლოთ გამოვევლინათ, განსაკუთრებით იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ამ პროცესის მნიშვნელოვან მონაწილეედ თვლიან თავს. მოსახლეობამ ბევრი რამ იცის პოლიტიკაზე, კარგად ერკვევა მიმდინარე მოვლენებში. მაგრამ გაცნობიერება-გაგება ამ პოლიტიკური დინამიკისა, ბევრად უფრო სუსტია. ასევე პრობლემატურად მიგვაჩნია პოლიტიკური პლურალიზმის საკითხი. რეგიონებში ძალიან გაგვიჭირდა ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებთან დაკავშირება. როგორც ჩანს ბევრ პარტიას აქვს რეგიონებში განვითარების პრობლემა. ძალიან ხშირია ასევე ასიმეტრიული პასუხები ერთი და იგივე პარტიის წარმომადგენელთა მხრიდან. ერთ რეგიონში ერთი პოზიცია აქვს პარტიას, მეორეში – მეორე. როგორც ჩანს, კომუნიკაციას სჭირდება გაუმჯობესება. ძალიან ბევრ პარტიას და ორგანიზაციას ძალიან გაუჭირდა საკუთარი აზრის ფორმირება ამ საკითხებზე. ამიტომ როდესაც კრიტიკულად ვუდგებით რეფორმის საკითხს, სხვადასხვა განზომილებაში უნდა განვიხილოთ იგი და მხოლოდ ცუდ დროს არ დავაბრალოთ რეფორმის მიმდინარეობა. თუმცა მეც მიმაჩნია, რომ სხვა დროს რომ ყოფილიყო, უკეთესი იქნებოდა. ამით დავასრულებ. სიამოვნებით ვუპასუხებ შეკითხვებს.

**მინდია უგრეხელიძე** – დიდი მადლობა ბატონო ლევან. სოციოლოგიური ხედვა არა მარტო მეტად გვაკავშირებს ცხოვრებასთან და საჭიროებებთან,

არამედ აფართოვებს ჩვენს თვალსაწიერს და გვაიძულებს, უფრო მეტი ვიფიქროთ სამომავლო პერსპექტივებზე.

დღევანდელი საუბარი ნიმუშია იმისა, თუ როგორ ვსაუბრობთ საქართველოში. რა თქმა უნდა ეს ყველას არ ეხება, მაგრამ განხილვებზე, დებატებზე ეს ჩვენში ხშირად ხდება და ძალიან მტკენს გულს, არავინ პასუხობს შეკითხვას, ყველა მოდის თავისი სათქმელით. ამიტომ ახლა ძალიან კონკრეტულ კითხვას დავსვამ და ასევე კონკრეტულ პასუხს მოვითხოვ. თუკი კონსტიტუციის გაუმჯობესება იმით არის ნაკარნახევი, რომ ძველი კონსტიტუცია არ ვარგოდა, მაშინ ამ უკეთესის ძალაში შესვლა რატომ უნდა გადაიდოს ამდენი ხნით. საზოგადოება, რომელიც აქ არის შეკრებილი, ვერ დაკმაყოფილდება ჩვენი კონსტრუქციებით, მას აინტერესებს რა ხდება და რატომ ხდება.

**თინათინ ბოლქვაძე, ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველო“** – თუკი გადადებულება, მაშინ რატომ გვეჩქარება სამი კვირის განმავლობაში სამი მოსმენით მიღება.

**ავთანდილ დემეტრაშვილი** – გარდამავალ დებულებებში დაფიქსირებულია, რომ კონსტიტუციის ერთი ნაწილი, დაახლოებით 22 მუხლი ამოქმედდება 2011 წლის პირველი იანვრიდან. დანარჩენი ნაწილი, რომელიც ეხება სახელისუფლებო სტრუქტურებს, 3013 წლის პირველი დეკემბრიდან, პრეზიდენტის არჩევის და მის მიერ ფიცის დადების შემდეგ. სამართლებრივი საფუძველი ამისათვის პირდაპირ კონსტიტუციაშია ჩადებული. პარლამენტი და პრეზიდენტი არჩეული გვყავს გარკვეული ვადით, მანდატით 4 და 5 წელი. თუკი იქნება პოლიტიკური გადაწყვეტილება, შეთანხმება ძირითად პოლიტიკურ ძალებს შორის, ეს ვადა შეიძლება შეიცვალოს.

**მინდია უგრეხელიძე** – გასაგებია. დიდი მადლობა. ბატონო ვახტანგ, თქვენ იზიარებთ ამ აზრს?

**ვახტანგ ხმალაძე** – არ ვიზიარებ ერთი მარტივი მიზეზის გამო. 2012-შიც, როცა უნდა გაიმართოს პარლამენტის მორიგი არჩევნები, რა ვადით და რა უფლებამოსილებით აირჩევა იგი? ეს პარლამენტი იმოქმედებს დღევანდელი უფლებამოსილებით და მთავრობასთან მისი ურთიერთობა განისაზღვრება დღევანდელი მოდელის მიხედვით და 2013 წლის 1 დეკემბრიდან გადავა ურთიერთობის ახალ მოდელზე? სამართლებრივ ლოგიკად მიმაჩნია ის, რომ თუ ვცვლით, მაშინ ყველას უნდა შეუწყდეს უფლებამოსილება და შეიქმნას ახალი კონსტიტუციის მიხედვით. ხოლო თუ როდის უნდა მოხდეს ეს, ამაზე შემიძლია გავიმეორო ბატონი მინდიას შეკითხვა, თუ უკეთეს კონსტიტუციას ვიღებთ, რატომ უნდა დავიცადოთ კიდევ სამი წელი?

იმასაც ყურადღება მიაქციეთ, რომელი მუხლები ამოქმედდება 2011 წლის პირველი იანვრიდან. ეს არის მუხლები ეხება მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნა, საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის ერთდღიანად პირის ხელმეორედ არჩევის უფლებას.

**ავთანდილ დემეტრაშვილი** – ადგილობრივ თვითმმართველობას.

**ვანტანგ ხმალაძე** – კონსტიტუციაში ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ მხოლოდ ძირითადი პრინციპები წერია. არ არის განსაზღვრული ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემა, როგორია ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა. თუ გავითვალისწინებთ გუბერნატორის ინსტიტუტს, რომელზეც არის საუბარი ახალ პროექტში, ვნახავთ, რომ მისი უფლებამოსილებები განისაზღვრება კანონით. კონსტიტუციას ფარგლები არ დაუდგენია გუბერნატორის ინსტიტუტისათვის. აქედან გამომდინარე, მისი უფლებამოსილებანი შეიძლება ძალიან დიდი აღმოჩნდეს და ეს უშუალოდ უკავშირდება ადგილობრივ თვითმმართველობას.

**ლია მუსაშავრია** – მეც ძალიან მაინტერესებდა ამ კითხვაზე პასუხი. დიდი გულისყურით ვუსმენდი ყველა იმ პირს, ვისგანაც შესაძლო იყო ამ საკითხზე პასუხის მოსმენა. მაქვს ჩემი დასაბუთებული ეჭვი, რომ ეს დრო საჭიროა იმისთვის, რომ რაც აქამდე არ იყო გააზრებული და გათვლილი, ეგება ამ დროში მოესწროს. და მეორე ეჭვი – პოლიტიკურად იმდენად მყიფეა სიტუაცია, რომ ახლა მისი ამოქმედება სახიფათო იქნებოდა ზოგიერთებისთვის და უკეთესი იქნება, ეს დრო სწორედ ამ სიმყიფის შენარჩუნებას მოხმარდეს.

**მინდია უგრეხელიძე** – გმადლობთ, ქალბატონო ლია. თქვენი დასაბუთება უფრო პოლიტიკურ მიზანშეწონილებას ეხება. ბატონო ლევან, თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ ეს?

**ლევან ცუცქერიძე** – ცალსახა პასუხი ამ კითხვაზე, რა თქმა უნდა, არ მაქვს. მაგრამ ვფიქრობ, რომ მისი ახლა ამოქმედება შესაძლოა არ იყოს კარგი პოლიტიკური პლურალიზმისთვის. იმიტომ რომ არა მგონია, დღეს იყოს ვითარება, როცა უფრო მრავალხმიან პოლიტიკურ წარმომავლითობას მივიღებთ. გარკვეული დრო სჭირდება იმას, რომ უფრო მრავალხმიანი პარლამენტი ვიხილოთ. რაც შეეხება ძალაუფლების შტოებს, მე მირჩევნია მათი ხილვა გარკვეულ დაძაბულობასა და კონფლიქტში ერთმანეთთან, მაგრამ ეს იყოს კონფლიქტი და დაძაბულობა ძალაუფლების სხვადასხვა შტოებში და არა მის გარეთ.

**რამაზ საყვარელიძე** – ნამდვილად არის ეს პრობლემა, რატომ ვჩქარობთ, თუ დიდი დრო გვაქვს. დასაბუთებული ეჭვი მეც მაქვს. ჩემი აზრით, იურიდიული ფონი უნდა გამზადდეს, ამ თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, ბატონ ავთოს მოწესრიგებული ექნება თავისი პროდუქცია, მაგრამ თუკი ქვეყანაში არასტაბილური მდგომარეობა შეიქმნა, იქნება იმისი საშუალება, რომ ჩატარდეს არჩევნები. ეს არჩევნები მინიმუმ ექვს თვეს წაიდებს, ამასობაში კი უკმაყოფილება ისე გაიშლება, კაციშვილს აღარ ეხსომება მისი არსებობა. საქართველოში არჩევნები არაერთხელ აღმოჩენილა მეხამრიდი. ამ შემთხვევაში ვადამდელი არჩევნებისა და მისი იურიდიული ლეგიტიმაციის საფუძვლები შეიქმნა. რაც მთავარია, შეიქმნა იმის საფუძველი, რომ სახელმწიფომ მიიღოს კიდევ უფრო ნაციონალური მოძრაობა.

**მინდია უგრეხელიძე** – ეს რა თქმა უნდა, ჩვენი ვარაუდია, ზუსტ პასუხს ამ კითხვაზე ვერ გავცემდით. რადგან ეჭვზე ჩამოვარდა საუბარი, გაგახსენებთ, ბოლო დროს ხშირად გაიგონებთ სიტყვებს „გონივრული ეჭვი“. ეს არის არასწორი თარგმანი. იქ, სადაც უნდა ვიხმაროთ „საფუძვლიანი ეჭვი“, ყველა „გონივრულს“ ამბობს, იმიტომ რომ მას საზღვრები არ გააჩნია, შეფასებითი ცნებაა. როდესაც ამბობ „საფუძვლიან ეჭვს“, საფუძველიც უნდა დაასახელო.

**რამაზ საყვარელიძე** – მენანება, რომ დისკუსია მხოლოდ ერთი მიმართულებით წავიდა. მგონია, რომ საპარლამენტო რესპუბლიკის მხარეს ქართული ცნობიერების წასვლა მაინც პოლიტიკით ნაკარნახევი აზროვნების წესია, და არცთუ ისე სწორი. იმიტომ რომ ძალაუფლების მონოპოლიზაცია თუ მოხდება, პრეზიდენტს დაარქმევ თუ პრემიერ-მინისტრს, არსებითად სულერთია. სწორედ ის, რომ კონსტიტუციაზე ლაპარაკი ახლა დაიწყო, აღმოჩნდა, რომ ბევრი რამ მოუშხადებელი იყო. თუნდაც მოსახლეობის გათვალისწინებით. იქნებ გავიზიაროთ ეს გამოცდილება და არ შეწყდეს კონსტიტუციური დებატების პროცესი. და ამ დებატებში ჩავრთოთ საპრეზიდენტო რესპუბლიკის ალტერნატივა.

**მინდია უგრეხელიძე** – მიუხედავად იმისა, რომ მოდერატორისგან არ ეგების სიმპათიების ან ანტიპათიების გამოხატვა, მინდა ვთქვა, რომ თუკი რაიმე არის ერთნაირად მისასალმებელი ყოველი მხრიდან, ის არის, რომ საქართველომ პირი ქნა მმართველობის უფრო დემოკრატიული ფორმისაკენ და ეს არის საპარლამენტო რესპუბლიკა.

ახლა, მას შემდეგ, რაც მოვუსმინეთ ოთხივე მომხსენებელს, უკვე შეგიძლიათ დასვათ კითხვები.

**დავით არაბიძე, განათლების ეროვნული კავშირი** – მოგეხსენებათ, პარლამენტმა 2005 წლის 11 მარტს დაგმო 1991-92 წლების გადატრიალება და მას ანტიკონსტიტუციური გადატრიალება უწოდა. ჰქონდა თუ არა სახელმწიფო ან საზოგადოებრივ კომისიას ურთიერთობა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდენტთან, რომელიც ერთადერთი ორგანოა, რომელიც ლეგიტიმურ კავშირს ინარჩუნებს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციასთან.

მეორე კითხვა: რატომ არ აღმოჩნდა არც სახელმწიფო და არც საზოგადოებრივ კომისიაში პროფკავშირების წარმომადგენელი. ეს ორგანიზაცია თითქმის 300 ათასი ადამიანის ინტერესს წარმოადგენს.

მესამე: „თავისუფლების ინსტიტუტმა“ მოამზადა ახალი კონსტიტუციის ძირითადი პრინციპები. იქ საუბარი იყო ყველანაირი სოციალური უფლების გაუქმებაზე, რომელიც აღნიშნული იყო კონსტიტუციაში. მაინტერესებს თქვენი დამოკიდებულება ამ საკითხთან და ბოლო კითხვა:

მოდელი, რომელიც შემოდის, რომელი კონკრეტული პოლიტიკური ძალის ინტერესშია?

**ღია მუხაშავრია** – თქვენს პირველ კითხვას რაც შეეხება, ამ საკითხთან შეხება მაქვს როგორც ადვოკატს. ჩემი აზრით, მხოლოდ პარლამენტის დადგენილება არ იყო საკმარისი, ის არ ასახულა სხვა კანონქვემდებარე აქტებში და არ განხორციელებულა ცხოვრებაში.

იმაზე, თუ რატომ არ არის პროფკავშირების წარმომადგენელი სახელმწიფო და საზოგადოებრივ კომისიებში, მხოლოდ საზოგადოებრივზე შემიძლია გითხრა. ჩვენი კომისია არ შექმნილა წარმომადგენლობითი პრინციპის მიხედვით. აქ შეკრებილნი არიან კონსტიტუციონალიზმში გათვითცნობიერებული, პროფესიული გამოცდილებით აღჭურვილი ადამიანები. თუმცა ჩვენ გვქონდა შეხვედრები პროფკავშირების წარმომადგენლებთან და ვგეგმავთ მათთან აქტიურ თანამშრომლობას. მათი წარმომადგენელი ალბათ იქნება საზოგადოებრივ საკონსტიტუციო დარბაზში, რომლის შექმნასაც ვგეგმავთ.

ჩვენ ვმუშაობთ სოციალურ უფლებებზე და ძალიან მნიშვნელოვანია ამ საკითხში პროფკავშირების წარმომადგენლებთან თანამშრომლობა. ჩვენს კონცეფციაში სოციალური უფლებების შესახებ დამუშავებული გვაქვს მთელი თავი და მას შეგიძლიათ საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისიის ვებგვერდზე გაეცნოთ.

რაც შეეხება მესამე კითხვას, ამაზე, ვფიქრობ, უკვე ვისაუბრე. ჩემი აზრით, ახალი კონსტიტუციის მიღება იმ პოლიტიკური ძალის ინტერესებში შედის, რომელიც ხელისუფლების სათავეშია, იმიტომ რომ კონსტიტუცია იწერება სწორედ იმისთვის, რომ ხელისუფლების პოლიტიკური მოწყობის ძირითადი წესები და პირობები შექმნას.

**დავით არაბიძე, განათლების ეროვნული კავშირი** – ამ კონსტიტუციით ხომ არ შეიქმნება ბიუროკრატია.

**ღია მუხაშავრია** – ჩვენ პირიქით ვფიქრობთ. ბიუროკრატია სჭირდება სახელმწიფოს. ლაპარაკია პროფესიონალ სახელმწიფო მოხელეებზე.

**ავთანდილ დემეტრაშვილი** – სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიაში უზენაესი საბჭოს წარმომადგენლები არ ყოფილან. ამის შესახებ საკითხი არც განხილულა. პროფკავშირებთან ძალიან მჭიდრო კონტაქტი გვქონდა. მათთან ერთად ჩავატარეთ სამი დიდი შეხვედრა და ერთი დიდი კონფერენცია. არ დაგიმაღლავთ, მე პირადად დაგსვი საკითხი ირაკლი პეტრიაშვილის კომისიაში შესვლის თაობაზე, რაზეც ადმინისტრაციის მხრიდან ცივი პასუხი მივიღე.

ლევან რამიშვილს ჩვენს კომისიაში წარმოდგენილი ჰქონდა პროექტი, ჩვენ ის განვიხილეთ. იქ იყო გარკვეული სოციალური ვალდებულებები. ჩვენ თავდაპირველად გვქონდა სურვილი, სახელმწიფო დამატებითი სოციალური ვალდებულებებით დაგვეტვირთა, მაგრამ მმართველმა პარტიამ, იმ მოტივით, რომ ეს არის მემარჯვენე პარტია, მსოფლმხედველობითი და შესაძლოა, პრაგმატული მოსაზრებებით, უარი გვითხრა ამ საკითხთან დაკავშირებით მხარდაჭერაზე.

ჩემი აზრით, ახალი, ჩვენს მიერ შედგენილი პროექტი შედის ხალხის ინტერესში, ვინაიდან მმართველობის ფორმა, ვიმეორებ, ორიენტირებულია ამომრჩეველზე.



**მინდია უგრეხელიძე** – მინდა გთხოვოთ, რომ შეკითხვები უფრო პერსონიფიცირებული იყოს.

**გიგა ჭკადუა, საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი** – ორი კითხვა მაქვს ბატონ ავთანდილთან და შემდეგ ბატონ ვახტანგთან.

ბატონმა ავთანდილმა საუბრის დასაწყისში ჩამოთვალა ის ფუნქციები, რომლებიც შეეკვეცა პრეზიდენტს. მაინტერესებს, ვის ხელში გადადის ისინი, პრემიერ-მინისტრის თუ პარლამენტის.

მეორე: თუ ახალ კონსტიტუციას 2013 წლის პირველ დეკემბერს ვიღებთ, პრეზიდენტს კი ვირჩევთ 2013 წლის 4 იანვარს, გამოდის, რომ რაღაც პერიოდის განმავლობაში ქვეყანას ეყოლება არალეგიტიმური ხელისუფლება. მაინტერესებს რამდენად დგას რეალურად საფრთხე, რომ ქვეყანას ჰყავდეს არალეგიტიმური ხელისუფლება თუნდაც ერთი დღის განმავლობაში მაინც.

**ავთანდილ დემეტრაშვილი** – ჩემთვის გაუგებარია, რატომ უნდა გვყავეს არალეგიტიმური ხელისუფლება, თუკი კონსტიტუცია ამოქმედდება 2013 წლიდან. არსებული ხელისუფლება იმოქმედებს ლეგიტიმურ რეჟიმში. თუ საერთოდ ეჭვის ქვეშ აყენებთ ამ ხელისუფლების ლეგიტიმურობის საკითხს, ეს სხვა თემაა.

ყველანაირად შევეცადეთ, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება ჩაბარებული ჰქონოდა არა პრემიერ-მინისტრს, არამედ მთლიანად მთავრობას. პარლამენტი არა პრემიერ-მინისტრს უცხადებს ნდობას, არამედ მთავრობის სრულ შემადგენლობას და მის პროგრამას. ამიტომ, ვფიქრობ, უმაღლესი ორგანო არის არა პრემიერ-მინისტრი, არამედ მთავრობა. პრეზიდენტის ფუნქციები ძირითადად გადანაწილდა მთავრობაზე.

**ვახტანგ ხმალაძე** – წმინდა ფორმალურად ლეგიტიმურობის პრობლემა არ დგას. შეიძლება მიიღოთ რაღაც კანონი და მისი სხვადასხვა ნაწილი სხვადასხვა პერიოდში ამოქმედდეს. სხვა საქმეა თვითონ ლოგიკა ამისა, რატომ უნდა გაკეთდეს ასე და არა სხვაგვარად.

რაც შეეხება პრეზიდენტის უფლებამოსილებების შემცირებას, ის რაც პრეზიდენტს მოაკლდა, მაგალითად ვეტოს ნაწილი. ეს უფლებამოსილება, ცხადია, პარლამენტს მიემატა. დანარჩენი გადავიდა მთავრობაზე. წარმოდგენილ პროექტში რაღაც იყო სხვაგვარად და ახლა პარლამენტში განხილვისას სხვაგვარად მიიღეს. მაგალითად მინისტრებს პროექტის მიხედვით, თანამდებობიდან ათავისუფლებდა და ნიშნავდა პრემიერ-მინისტრი. ახლა თითქოს ემატება ის, რომ თუ 1/3-ით შეიცვალა მთავრობა..

**ავთანდილ დემეტრაშვილი** – არ შეცვლილა ეს საკითხი.

**მინდია უგრეხელიძე** – ხომ ვერ მეტყვით, თუ არის ხელმისაწვდომი კონსტიტუციის ახალი პროექტის ტექსტი, ან პარლამენტის საიტზე თუ არის განთავსებული.

**რუსუდან მაჩაიძე, ჟურნალისტი** – პარლამენტში დარიგდა ეს ტექსტი.

**ვახტანგ ხმალაძე** – გამოდის, რომ არ შეცვლილა. დაუკვირდით, გამოდის, რომ დღეს პრეზიდენტს აქვს მინისტრების დანიშვნის უფლება. ეს უფლება გადადის პრემიერ-მინისტრზე. წარმოიდგინეთ ვითარება. ნდობის გამოსაცხადებლად, განსაკუთრებით მაშინ, თუ უმრავლესობა კოალიციურია, ნდობის მისაღებად პრემიერ-მინისტრს დასჭირდება მთავრობის ისეთი შემადგენლობის წარდგენა, რომ უმრავლესობისგან მიიღოს მხარდაჭერა. როგორც კი ნდობას მიიღებს, მეორე დღესვე, პრემიერ-მინისტრს შეეძლება გაათავისუფლოს მინისტრები თანამდებობიდან და დანიშნოს ისინი, ვინც უნდა. თეორიულად ასე გამოდის.

**თინათინ ბოლქვაძე** – პროექტთან დაკავშირებით მოგახსენებთ. გარკვეული დროის განმავლობაში ვრეკავ პარლამენტში, შევდივარ პარლამენტის საიტზე, მაგრამ იქ ასეთი ტექსტი არ არსებობს. დამემოწმება ბატონი ავთანდილი, დევს ის ტექსტი, რომელიც თავის დროზე გადაეცა პრეზიდენტს. ვისმენტ მხოლოდ ზეპირ შენიშვნებს და გამონათქვამებს, კომენტარებს იმის შესახებ, თუ რაზე შეთანხმდნენ პარლამენტში. არც კომიტეტის და სხდომების ოქმებია.

**ეკატერინე ფოფხაძე, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია** – ჩემი კოლეგისთვის ეს ტექსტი ხელმისაწვდომი იყო არა იმიტომ, რომ საჯარო იყო, არამედ მოვიპოვეთ პირადი კონტაქტების ხარჯზე.

**ავთანდილ დემეტრაშვილი** – ნუ გავაუბრალოებთ ყველაფერს. აი, აქ იმყოფება ადამიანი, რომელმაც მოითხოვა ეს ტექსტი და მისცეს.

**რუსუდან მაჩაიძე, ჟურნალისტი** – განვმარტავ, რომ გაუგებარი არ დარჩეს ვინმესთვის. საიტზე დევს თავდაპირველი ტექსტი, რომელიც შევიდა პარლამენტში. მესამე მოსმენით მიღების შემდეგ დაიდება საბოლოო ტექსტი. მაგრამ თუ მოითხოვთ ტექსტს სამუშაო პროცესში, მას მოგცემენ.

**მინდია უგრეხელიძე** – პასუხი ძალიან მარტივია. ცვლილებები ტექსტში შეტანილია და ეს ტექსტი არსებობს. ამ ცვლილებებით ტექსტი მიუწვდომელია საიტზე, მაგრამ თუ მიბრძანდებით პარლამენტში, იქ გადმოგცემენ ტექსტს.

**ეკატერინე ფოფხაძე** – ჩემი კითხვა ეხება სასამართლოს დამოუკიდებლობის საკითხს. აინტერესებს, რა არგუმენტაცია არსებობდა საიმისოდ, რომ სამწლიანი გამოსაცდელი ვადა შეგვეტანა ახალი კონსტიტუციის პროექტში. საზოგადოების ნაწილი კრიტიკულად არის განწყობილი ამ ცვლილების მიმართ. ასეთივე დამოკიდებულებაა ვენეციის კომისიის დასკვნის მიხედვით. თუ გვიფიქრია იმაზე, რომ ამ სამი წლის განმავლობაში რა მართლმსაჯულება გვექნება საქართველოში, მაშინ როცა ეს მოსამართლეები იქნებიან უვადოდ დანიშვნის მოლოდინში. როგორ აისახება ეს მართლმსაჯულების სისტემაზე. ამასთან, როდესაც მოსამართლეთა დამოუკიდებლობის გარანტიად უვადოდ დანიშვნას ვასახელებთ, სამწლიანი ვადა საფუძველშივე ხომ არ კლავს ამ იდეას?

მეორე კითხვა: როგორც ვიცი, კომისიის სხდომაზე დაისვა საკითხი, დამატებით გარანტიად შესულიყო კონსტიტუციაში მოსამართლეთა სავალდებულო თანხმობა მათი სხვა სასამართლოში გადაყვანის შემთხვევაში. როგორც ვიცი, დღეს დამკვიდრებული პრაქტიკით, ეს საკითხი ბუნდოვანია და საზოგადოებაში არის მოარული ხმები, რომ მოსამართლეთა გადაყვანა სხვა სასამართლოებში მათი დასჯის ერთ-ერთ მექანიზმად განიხილება. არსებობს ვენეციის კომისიის სტანდარტები, რომლებიც ეხება მოსამართლეთა დანიშვნას და გადაყვანას. იქ არის აღნიშნული, რომ დაუშვებელია მოსამართლის გადაყვანა სხვა სასამართლოში მისი სავალდებულო თანხმობის გარეშე, მაშინაც კი, როდესაც ეს დაწინაურების მიზნით ხდება. ამიტომ მაინტერესებს, რატომ არ გადაწყდა ეს საკითხი დადებითად.

მომდევნო კითხვა პარლამენტს ეხება. ბატონმა ავთანდილმა ბრძანა, რომ ახალ კონსტიტუციაში არ არის ცვლილება, რომელიც დააკნინებდა პარლამენტს. მე ვფიქრობ, რომ არის ორი ასეთი ცვლილება. შეიძლება ისინი არ არის მასშტაბური, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ კონტექსტს და სხვა დებულებებსაც, საერთო ჯამში ისინი მაინც ასუსტებს პარლამენტის როლს. პირველი ცვლილება შემდეგში გამოიხატება: დღეს მოქმედი რედაქციით, თუ პარლამენტარები დააყენებენ მთავრობის კონკრეტული წევრის პასუხისმგებლობის საკითხს, პრემიერ-მინისტრი ვალდებულია დაუსაბუთოს პარლამენტს, თუ რატომ არ იზიარებს მის მოსაზრებას. ახალი რედაქციით, პრემიერ-მინისტრი არ არის ვალდებული დაუსაბუთოს პარლამენტს, თუ რატომ არის მისთვის მიუღებელი პარლამენტის წევრების მოსაზრება.

და კიდევ ერთი საკითხი: ჩემი აზრით, კომისიამ არაფერი გააკეთა იმისათვის, რომ პარლამენტის როლი გაეძლიერებინა საბიუჯეტო საკითხებთან დაკავშირებით. ის, რომ პარლამენტს არ შეუძლია შეცვალოს ბიუჯეტის პროექტი მთავრობის თანხმობის გარეშე, მიგვაჩნია, რომ პრობლემურია. დიდი მადლობა.

**ავთანდილ დემეტრაშვილი** – კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო ჩემი პირადი პოზიცია გამოსაცდელ ვადასთან დაკავშირებით, რომელიც სახელმწიფო კომისიაშიც დავაფიქსირე, ვენეციის კომისიაშიც და ბერლინის კონფერენციაზეც. ვენეციის კომისია კატეგორიულად ითხოვდა მის ამოღებას, მაგრამ უმრავლესობამ არ დაუჯერა. ვადასტურებ ამას. რაც შეეხება მოსამართლეთა დროებით სხვა ადგილზე გადაყვანას, ამაზეც იყო მსჯელობა. კომისიამ ჩათვალა, რომ ეს კონსტიტუციური რეგულირების საგანი არ არის.

შემდეგი - მოტივირებული პასუხი. ამოღებულია ამ მუხლის ბოლო ნაწილი. პარლამენტს რჩება უფლება დასვას მთავრობის წევრის პასუხისმგებლობის საკითხი. ეს რეგულაცია რჩება. ამოღებულია ჩემი აზრით არაფრისმთქმელი ფორმულა, რომ პრემიერ-მინისტრი ვალდებულია გასცეს მოტივირებული პასუხი. ვფიქრობ, ეს არ არის არსებითი ცვლილება და არ აკნინებს პარლამენტის როლს.

მთელი რიგი საკითხები, რომლებიც თქვენ დააყენეთ, ალბათ კარგი იქნებოდა, რომ ასახულიყო ახალ კონსტიტუციაში, მაგრამ ის რეგულაციები, რომლებიც ეხება საბიუჯეტო პროცესს, პარლამენტის როლს, არ შეცვლილა.

რატომ არ დასვით ეს საკითხები უფრო ადრე. თამარ ხიდაშელი წელიწადნახევრის განმავლობაში სულ ორ სხდომას დაესწრო.

– როლის ამოქმედება ახალი კონსტიტუცია?

**ავთანდილ დემეტრაშვილი** – 2013 წლის 1 დეკემბერს.

**ვახტანგ ხმალაძე** – მანამდე ერთი წელი რა იქნება?

**ავთანდილ დემეტრაშვილი** – მანამდე ძველი წესით იმოქმედებს, არსებული პროექტის მიხედვით.

**ვახტანგ ხმალაძე** – ლოგიკას ვერ ვხედავ.

**მინდია უგრეხელიძე** – პრეამბულიდან არ უნდა იწყებოდეს პრობლემების დასმა. „ღვთისა და ერის წინაშე“ ტრადიციაა, რომელიც ჩვენ საუკუნეების განმავლობაში მოგვდევს. მახსოვს, პირველად გამიკვირდა კიდეც, როდესაც ფიცის დადება მიხდებოდა სტრასბურგის სასამართლოში. იქ ორი ტექსტია, ერთი მორწმუნეებისთვის, მეორე – ადამიანებისთვის, რომლებიც საერო ცხოვრებით ცხოვრობენ.

**ავთანდილ დემეტრაშვილი** – პრეზიდენტის ფიცში ჩაიწერა: „ვფიცავ ღვთისა და ერის წინაშე“.

**ვახტანგ ხმალაძე** – მართალია, ადრე ეს პროტესტი არ გამოთქმულა. მიმაჩნია, რომ არც პრეზიდენტის ფიცში სავალდებულო წესით არ უნდა ეწეროს „ღვთის წინაშე“. თუ არ ვცდები, ასეა ჩეხეთში.

**გივი ბრეგაძე, გაეროს განვითარების პროგრამა** – შეიძლება „სინდისის წინაშე“ ჩაიწეროს.

**რუსუდან მაჩაიძე** – პროექტის 21-ე მუხლთან დაკავშირებით მაქვს შეკითხვა. ვენეციის კომისიის რეკომენდაცია იყო, პროექტი საბოლოოდ არ დამტკიცებულიყო მათი რეკომენდაციის გამოქვეყნებამდე. ვენეციის კომისიის სხდომა 15 ოქტომბერს უნდა გაიმართოს და ამ სხდომაზე შემუშავდება საბოლოო დასკვნა.

რატომ დაიგეგმა მესამე მოსმენა 15 ოქტომბრამდე?

**ავთანდილ დემეტრაშვილი** – რა თქმა უნდა, ვენეციის კომისიას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მე არ ვარ კომპეტენტური ამ კითხვაზე პასუხი გაგცეთ. ეს შეკითხვა პარლამენტს უნდა დაუსვათ.

**მინდია უგრეხელიძე** – ვენეციის კომისიის დასკვნები რეკომენდაციის ხასიათისაა.

**ვახუშტი მენაბდე, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია** – აძლიერებს თუ ასუსტებს პარლამენტს მთავრობის უფლებამოსილება ნებისმიერ კანონზე დააყენოს საკუთარი ნდობა (ე.წ. ნდობის ნეგატიური ვოტუმი), რომლის მიხედვითაც პარლამენტს კანონპროექტის უარყოფის შემთხვევაში ელის ურთულესი ხუთკენჭისყრიანი უნდობლობის პროცედურის გავლა. როდესაც ნებისმიერ კენჭისყრაზე ჩაგარდნა იწვევს კანონის ავტომატურად ამოქმედებას.

**ავთანდილ დემეტრაშვილი** – იყო ვარიანტი, რომლის მიხედვითაც პარლამენტი უცხადებს უნდობლობას მთავრობას და პრეზიდენტი ითხოვს პარლამენტს. რა თქმა უნდა ეს მიუღებელი იყო. დავიწყეთ კომპრომისის ძიება. კომპრომისის სახით შემოთავაზებულ იქნა, ჩემი აზრით, კომიკური წინადადება, თუ პრეზიდენტმა დაითხოვა პარლამენტი, მაშინ თვითონ უნდა გადადგეს. ცხადია, ამ წინადადებას გულწრფელად არ ამბობდა მმართველი პარტია, ამიტომ გადავწყვიტეთ ამ საკითხზე მსჯელობა ჩამოსვლის შემდეგ გაგვეგრძელებინა. კომპრომისის ძიება გაგრძელდა დაახლოებით ერთი კვირა. გავისხენე ბერლინის კონფერენციაზე ერთ-ერთი ექსპერტის მიერ წარმოთქმული წინადადება, რომ თუ ვერ ვთანხმდებით, იქნებ შემოვიღოთ ორმაგი ვოტუმი. მაგრამ მეორე ვოტუმით ალბათ უნდა ყოფილიყო უფრო მაღალი ქვორუმი. ამიტომ შევიდა პროექტში წინადადება, რომ ამ მეორე ვოტუმს, ანუ მეორე უნდობლობის გამოცხადებას სჭირდება პარლამენტართა 3/5. ეს მმართველი პარტიისა და უმრავლესობისთვის მისაღები აღმოჩნდა და ჩაიწერა კიდევ. რა თქმა უნდა, ეს არ არის იდეალური გამოსავალი, მაგრამ კომპრომისის სახით ეს შესაძლებელია. სწორედ ეს რეკომენდაცია მოგვცეს უცხოელებმა.

**ვახტანგ ხმალაძე** – მხოლოდ ერთმა ექსპერტმა.

**ავთანდილ დემეტრაშვილი** – კი ბატონო, ერთმა ექსპერტმა. მთავარი ის არის, რომ მოვამზადეთ პროექტი. მასში აღმოჩნდა წინააღმდეგობა და უცხოელმა ექსპერტმა გვიჩინა, იქნებ კომპრომისის სახით 3/5 ყოფილიყო მეორე ვოტუმი. მესმის, რომ ეს არ არის იდეალური გამოსავალი, მაგრამ იმაზე უკეთესია, რაც იყო.

**თამარ ზაალიშვილი, “დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველო“** – იმ კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, რომელზეც ბატონი ლევანი გვესაუბრა, თვლის თუ არა საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისია, რომ მისი შექმნის წესი უნდა ყოფილიყო სხვაგვარი, რათა განსხვავებული, თუნდაც მოდელთან მიმართებაში, ყოფილიყო გაზიარებული. იქნებოდა თუ არა თქვენი საქმიანობა და თქვენს მიერ მომზადებული კონცეფცია უფრო მეტად საზოგადოების გამოძახილი.

ასევე მაინტერესებს შემდეგი საკითხი. ბატონო ლევან, თქვენ ბრძანეთ, რომ მოსახლეობის მხოლოდ 1% იცნობს კონსტიტუციას. როგორ შეიძლება ასეთ შემთხვევებში განხილვები იყოს არაფორმალური. იმისათვის, რომ არსებითი განხილვა მიმდინარეობდეს, საჭიროა თუნდაც მინიმალური ცოდნა.

მესამე შეკითხვა: საოცარი უკმაყოფილების შეგრძნება მქონდა როგორც მოქალაქეს, როდესაც საბაზისო დოკუმენტი დაიდო თქვენს საიტზე და მას

ახლდა ორგვერდიანი განმარტებითი ბარათი. ჩემი აზრით, ეს იყო უპატივცემულობა ქართული საზოგადოების მიმართ. რას ფიქრობდა, რას გულისხმობდა კანონმდებელი, რატომ ცვლიდა ერთ ნორმას სხვა ნორმით, რატომ არეგულირებდა ურთიერთობას სხვაგვარად – ვფიქრობ, ყოველივე ეს უფრო დიდი მოცულობით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი განმარტებით ბარათში. რატომ არ მომზადდა უფრო ვრცელი განმარტებითი ბარათი?

**ვახტანგ ხმალაძე** – თავიდანვე ითქვა, რომ საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისია უნდა შემდგარიყო პროფესიონალებისგან, კონსტიტუციონალისტებისაგან. კომისიის არჩევანი ერთსულოვანი იყო. განსხვავებული აზრი კომისიის არცერთ წევრს არ ჰქონია. რამდენად შეესაბამება ეს საზოგადოების მოლოდინს და მოთხოვნას? აქ თქვენივე კითხვით გიპასუხებთ. როგორც ითქვა, კვლევების მიხედვით, მხოლოდ 1%-მა იცის საქართველოს კონსტიტუცია. როგორ წარმოგიდგენიათ, რამდენ პროცენტს ეცოდინება კონსტიტუციონალიზმის თეორია, რა მოდელები არსებობს, რა რისკები და ფაქტორებია?

სანამ საკითხზე გადაწყვეტილების მიმღები არ იქნება ის, ვინც იცის ეს საკითხი, ვისაც შეუძლია შეაფასოს, მანამდე გასვლა და კითხვა საზოგადოებისთვის, რომელი მოდელი ურჩევნია, საპრეზიდენტო თუ საპარლამენტო, პრინციპულად არასწორი იქნება. იმიტომ რომ ცოდნის გარეშე ვერ შეაფასებ.

ერთ მაგალითს გეტყვით, რეფერენდუმში რომ ჩაატაროთ სიკვდილით დასჯის თაობაზე, თუნდაც იმ ქვეყნებში, სადაც სიკვდილით დასჯა გაუქმებულია, სოციოლოგიური გამოკითხვებით არის ცნობილი, უმრავლესობა მხარს უჭერს სიკვდილით დასჯას. ამიტომაც ამ თემაზე რეფერენდუმს არ ატარებენ.

**თამარ ზაალიშვილი** – ჩემი შეკითხვა იმაში მდგომარეობდა, რომ საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისია გამოხატავდა საზოგადოების ალტერნატიულ აზრს, ალტერნატიულს სახელმწიფო კომისიისაგან. ასე მიიღო ის საზოგადოებამ.

**მინდია უგრეხელიძე** – რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, საზოგადოებრივი კომისია შექმნილია იმისთვის, და ის პროდუქციაც, რაც დადო კონცეფციის სახით, იმიტომ დადო, რომ საზოგადოებისთვის გაეცნო და მოესმინა ის მოსაზრებანი, რომელიც მასთან დაკავშირებით გამოითქმებოდა.

**ლევან ცუცქირიძე** – რეფორმის პროცესში თანამონაწილეობაზე საუბრისას მნიშვნელოვანია განვასხვავოთ, ვის თანამონაწილეობას ვგულისხმობთ. იმიტომ რომ თუ ვსაუბრობთ დაინტერესებული პირების და მხარეების თანამონაწილეობაზე, და ესეც დაბალია, ეს კიდევ უფრო საგანგაშო საკითხია. მე ვსაუბრობ იმაზე, რომ მიდიხარ ქვეყნის ცენტრალურ რეგიონებში, და ორგანიზაციებმა, რომლებიც ამბობენ, რომ ეს თემები მათთვის მნიშვნელოვანია, უბრალოდ არ იციან რა უნდა თქვან, როდესაც პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები სხვადასხვაგვარ კომენტარებს აკეთებენ, ამიტომ

ვამბობ, რომ დისკურსის ასეთი სისუსტე კიდევ უფრო საგანგაშოა. თორემ ხალხმა შეიძლება არ იცოდეს კონსტიტუცია, სხვა ქვეყნებშიც ასე იქნება. იქ შეიძლება თავისი უფლებები იცოდნენ და თავიანთი ადვოკატის ნომერი, რომ საჭიროების შემთხვევაში დაუკავშირდნენ.

**ავთანდილ დემეტრაშვილი** – პასუხისმგებლობას იმაზე, რომ განმარტებითი ბარათი არ იყო თანდართული კანონპროექტზე, ვერ ავიღებ. ვინაიდან სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიამ პროექტი გადასცა პრეზიდენტს.

**ნინო ციხისთავი** – კვლევასთან დაკავშირებით მაქვს კომენტარი. საერთოდ, ნებისმიერ სტატისტიკურ კვლევას ახლავს შეუქ-ჩრდილები. მათი სპექტრი ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ არის ინსტრუმენტი შედგენილი. ვიტოვებ უფლებას და ამ ნაწილში არ ველი კომენტარს წარმოდგენილი ორგანიზაციის მხრიდან, რომ მაინცდამაინც არ გავიზიარო კვლევის შედეგების სულისკვეთება, ორი მარტივი მიზეზის გამო. ვმონაწილეობდი იმ საექსპერტო შეხვედრაში, რომელიც ინსტრუმენტზე მუშაობდა. მინდა გითხრათ, რომ არც ჩემი და არც ჩემი კოლეგის მოსაზრებები ინსტრუმენტთან დაკავშირებით მუშაობის პროცესში არ ყოფილა გათვალისწინებული.

და მეორე საკითხი: ვერანაირად ვერ მივემხრობი კვლევის შედეგებს, როდესაც კვლევაში მონაწილე რესპონდენტები ასევე შავ-თეთრად არიან გაყოფილები ხელისუფლების მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად, და პროცენტი დაყოფილია ამის მიხედვით. ეს ჩემთვის, ვისაც მაქვს კვლევებზე მუშაობის გამოცდილება, მიუღებელია.

ჩემი შეკითხვა ძალიან მარტივია. მადლობელი ვარ ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის და ამ დისკუსიის ორგანიზატორის, რომელიც ცოტა ხნის წინ მომიახლოვდა და მკითხა, ძალიან ხომ არ გადავიღალეთ. როცა ამ კუთხით შევხედე დარბაზს, მივხვდი, რომ კი არ გადავიღალეთ, საერთოდ არ გვინდება დაშლა. და ეს არის ძალიან მარტივი რამის მანიშნებელი, რომ მეორე მოსმენით არის უკვე მიღებული ჩვენი ქვეყნის კონსტიტუცია, სერიოზული ცვლილებებით და ჩვენ თბილისში, იმ საზოგადოებამ, რომელსაც ბევრი კონკრეტული შესაძლებლობა გვიჭირავს ხელში: გადაადგილების თავისუფლების, ინფორმაციის მიღების, ერთმანეთთან კომუნიკაციის, დებატებში მონაწილეობის გამოცდილების, გვაქვს დაუოკებელი სურვილი ბევრი ვისაუბროთ ამ საკითხზე.

**ლევან ცუცქერიძე** – აუცილებლად მინდა დავაზუსტო, რომ აუდიტორიას არ დარჩეს კითხვები. ჩვენ ვსაუბრობთ ორ კვლევაზე. ერთი იყო საერთო ეროვნული კვლევა, რომელშიც თქვენ არ მონაწილეობდით, ქალბატონო ნინო, და მეორე იყო იმ ოპოზიციური პარტიების კვლევა, რომლებიც არ მონაწილეობდნენ სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიაში. თქვენ ამ კითხვარის შედგენის დროს მონაწილეობდით. მე ყველა მონაწილეს გამოვიგზავნეთ ელექტრონული წერილი, სადაც გეკითხებოდით, ხომ არ გქონდათ რაიმე კომენტარი. მიღებული ყველა კომენტარი გათვალისწინებულ იქნა. ამ პროექტის პრეზენტაცია იქნება პარასკევს და შეგიძლიათ მობრძანდეთ.

**ზურაბ ჯიბლაშვილი, საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისიის წევრი**  
– ბატონო ავთანდილ, თქვენ ბრძანეთ, რომ თოთხმეტივე პარტიის წარმომადგენელს რომ მიეღო მონაწილეობა კომისიის მუშაობაში, შედეგი და ხარისხი განსხვავებული იქნებოდა. მე, როგორც ყოფილი კომისიის ყოფილ წევრს განსხვავებული შეხედულება მაქვს. მას შემდეგ, რაც ჩვენ გავარკვიეთ, რომ მმართველი პოლიტიკური ძალის წარმომადგენლობა კომისიაში გარკვეული არ იყო თავის პოზიციაში, ამით სამუშაო სხდომები, პრაქტიკულად დასრულდა. რამდენიმე მცდელობა კენჭისყრის ჩატარებისა უშედეგოდ დამთავრდა. ამის შემდეგ თითქოს დაიხურა კარები და უცებ აღმოვაჩინეთ, რომ არსებობდა რაღაც პროექტი, რომელიც შემდეგ საბაზისო პროექტად იქცა. მე თავის დროზეც დავაფიქსირე ჩემი მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით. ახლაც მიმაჩნია, რომ ეს არ იყო სასურველი შედეგის მიღწევის ეფექტიანი გზა. ის პარტიები რომ ყოფილიყვნენ წარმოდგენილები, არ მოხდებოდა ასე?

და მეორე შეკითხვა: თავად თქვენ ხარისხის ნაკლებობის განცდა ამ პროექტის რომელ ნაწილში გაქვთ?

**ავთანდილ დემეტრაშვილი** – უკვე მოგახსენეთ, რა ნაწილს არ ვეთანხმები. ჩემი რესურსი ამოიწურა იქ, სადაც მთავრობის ფორმირება და მთავრობის უნდობლობის კონსტრუქციულ ვოტუმზე კენჭისყრები ჩატარდა. ზურაბს მოესხენება, მე წინააღმდეგი ვიყავი 81-ე მუხლის ამ რედაქციის. ბერლინის კონფერენციაზე სამი კაცი ვიყავით, ვინც ვეწინააღმდეგებოდით ამას. დღემდე ვფიქრობ, გამართული რომ იყოს 81-ე მუხლი, მე-80 მუხლში ვადები რომ შემცირდეს, უფრო სრულყოფილი იქნებოდა ეს პროექტი.

უკმაყოფილებას იწვევს ის, რომ სოციალურ ვალდებულებებზე არ გავამახვილეთ ყურადღება. მიმაჩნია, რომ ეს მომავლის პერსპექტივაა. ამ საკითხზე, როგორც მეცნიერი, განვაგრძობ მუშაობას.

**შალვა ქობულაშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, სტუდენტი** – მაინტერესებს, ახალი კონსტიტუცია რამდენად მოქნილია და უზრუნველყოფს პოლიტიკური სისტემის სტაბილურობას და მდგრადობას კრიზისების მიმართ. ხომ არ გვემუქრება იმის საფრთხე, რომ პოლიტიკური კრიზისები გავიდეს პარლამენტის და მთავრობის გარეთ.

**ავთანდილ დემეტრაშვილი** – პირიქით, ეს პროექტი პოლიტიკური სისტემის სრულყოფას შეუწყობს ხელს, იმიტომ რომ მისი ძირითადი სუბიექტი ხდება პოლიტიკური პარტია. ანუ, პოლიტიკური პარტიები უნდა გააქტიურდნენ.

ვფიქრობ, ახალი მმართველობის სისტემა იქნება საპარლამენტო, ან შერეული სისტემა, რომელშიც სჭარბობს საპარლამენტოს ელემენტები, ხელს შეუწყობს პოლიტიკური სისტემის გამართულობას. ვხედავ იმ რისკებს, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას, მაგრამ არ ვფიქრობ რომ ისინი გადაულახავი კონფლიქტებია.

**ვახტანგ ძაბირაძე, საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისია** – სანამ მთელი ჩვენი საზოგადოება არ დაივიწყებს იმას, რომ ეს კონსტიტუცია იმას



ხომ ჯობია. პირდაპირ ვთქვათ, არც ის ვარგა, არც ეს. ეს ჩემი შეხედულებაა. ჩემი აზრით, ეს არის რუხი კარდინალების კონსტიტუცია. პირდაპირ გეუბნებით, იმის მიხედვით, რაც დაიღო, ქართული ხასიათიდან გამომდინარე, იქნება მუდმივი გადატრიალება, მუდმივი კარის შეთქმულება.

მახსოვს საფრანგეთის მაგალითი. იაპონიის დიდი შვიდეულის სამიტზე გაფრინდა, როგორც პრემიერი, ისე პრეზიდენტი. ძალიან სახიფათოა და მუდმივი დესტაბილიზაციისკენ მივყავართ.

ვერც იმ აზრს დავეთანხმები, რომ კონსტიტუცია მხოლოდ კონსტიტუციონალისტების არის. როდესაც კონსტიტუციის თეორიაზე საუბარი, კი ბატონო. როდესაც კონკრეტული ქვეყნის კონსტიტუციაზე ვლაპარაკობთ, იქ, გარდა კონსტიტუციის თეორიისა, საჭიროა პოლიტოლოგიური, პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური მენტალიტეტი, ხასიათი, წარსული და ა.შ. ყველაფრის გათვალისწინებაა საჭირო. ჩვენ ვდებთ კონსტიტუციაში მუხლებს, დაპირისპირებაზე რომ იყო საუბარი, სადაც 20 წლის განმავლობაში არც ერთი პრეცედენტი არ ყოფილა ხელისუფლების მშვიდობიანი გზით შეცვლისა.

**ეკა ჯანაშია, გაზეთი „24 საათი“** – კონკრეტული შეკითხვა მაქვს ვადებთან დაკავშირებით, ვეტოს დაძლევაზე იყო საუბარი. ითქვა, რომ ეს გრძელდება 136 დღე. რამდენად შეიცავს ეს საფრთხეს, პრაქტიკულად სამი თვე კრიზისში ტოვებთ ქვეყანას.

**ავთანდილ დემეტრაშვილი** – პრეზიდენტი შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსს ნიშნავს მთავრობასთან შეთანხმებით.

უნდობლობის კონსტრუქციულ ვოტუმთან დაკავშირებით ჩემი აზრი უკვე მოგახსენეთ. შემძლია გითხრათ, რა იყო ამ ფორმულის მომხრეების ძირითადი არგუმენტი. მათი თქმით, ჩვენ თავიდან უნდა ავიცილოთ იტალიის მაგალითი, რომელმაც 60 წლის განმავლობაში 58 მთავრობა გამოიცვალა.

– რაიმე სერიოზული ცვლილება თუ არის კიდევ მოსალოდნელი პროექტში?

**ავთანდილ დემეტრაშვილი** – არსებითი ცვლილებები აღარ შევა. მხოლოდ რედაქციული ცვლილებები შეიძლება შევიდეს.

**მინდია უგრეხელიძე** – ჩვენი დისკუსია დასრულდა. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჰაინრიხ ბიოლის ფონდს. დღევანდელი დღე აღამიანს ადავსებს უზარმაზარი იმედებით, იმიტომ რომ არაჩვეულებრივი თაობა იყო წარმოდგენილი.

მინდა დიდი მადლობა გითხრათ იმ ინტერესისათვის, რომელიც გამოიჩინეთ ამ საკითხების მიმართ.